საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 24/03/2020
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
11. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარე

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1.	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2.	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნონა ზუმბაძე	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2	ანი ქვათაძე	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I, II
3	თინათინ ზაქარაშვილი	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
4	ვალერი მოსიაშვილი	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	ვახტანგ ლეჟავა	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი; ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	III
6	ნათია სამუშია	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი; ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროორექტორი	III
7	მარინა ქარჩავა	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი; ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროორექტორი	III
8	ანა თაბუკაშვილი	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი; ა(ა)იპ -	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	III

საბჭოს თავმჯდომარე

		საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი		
9	ელიზბარ ელიზბარაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროფესორი	III
10	ნინა კულიკოვა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
11	რევაზ კორაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
12	ნუცა ბათიაშვილი	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;	ასოცირებული პროფესორი	III
13	ვაჟა ბერეჟიანი	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;	პროფესორი	III
14	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	IV, V, VI, VII
15	მარიკა შერაზადიშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი, ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
16	ნინო ორჯონიკიძე	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
17	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
18	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი; ბიზნესისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
19	მაია აზმაიფარაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
20	ქეთევან ლომსაძე	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
213	ნინო ლიპარტელიანი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ბიზნესისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები

საბჭოს თავმჯდომარე

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მოაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლელა ფირალიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	I
2	მალხაზ გაგუა	ჩაერთო „ზუმით“	I
3	სოფიკო შარაბიძე	ჩაერთო „ზუმით“	I
4	სოფიო ხუნდაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
5	მაია ბარამიძე	ჩაერთო „ზუმით“	II
6	ქრისტინე ომაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
7	ანა მიხელიძე	ჩაერთო „ზუმით“	II, V
8	ვლადიმერ ციციშვილი	ჩაერთო „ზუმით“	III
9	დავით ნიშნიანიძე	ჩაერთო „ზუმით“	III
10	ანი ბილანიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	III
11	ნინო შოშიტაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
12	ლელა ფირალიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
13	მარიამ წიქარიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
14	ეკა დევიძე	ჩაერთო „ზუმით“	V
15	ეკა ლეკაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	V
16	ნანა ბურდული	ჩაერთო „ზუმით“	VI
17	თეა გოგოტიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	VI
18	თინათინ გვაძაბია	ჩაერთო „ზუმით“	VI
19	გოჩა თუთბერიძე	ჩაერთო „ზუმით“	VII
20	მაია მორგოშია	ჩაერთო „ზუმით“	VII

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

საბჭოს თავმჯდომარე

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე

1. პირველი საკითხი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 25 თებერვალი, №32
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[5]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[6]	საქართველო, ქ. თბილისი, 0144 წინანდლის ქუჩა N9.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[6] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამი სხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს. ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და მედიაცენტრი, აუდიოკაბინეტი, ფოტოგრაფიის კაბინეტი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. ადგილზე გაეცნო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს, კონფერენციების მასალებს. ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარმართა მუშაობა. ასევე განაცხადა, რომ პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო მეორე სტანდარტი -„მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები: 1. პროგრამის კურუკულუმიში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით; 2. დაემატოს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს: „ვიზუალურითხრობა"; 3. განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსში „მედიის კვლევის მეთოდები"; 4. გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მითუმეტეს რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა; 5. გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციებლებსა და დამსაქმებლებს შორის.

დაწესებულების თქმით, რაც შეეხება გადაფარვას, ისინი ვერ დაეთანხმებიან საბჭოს წევრებს ლიტერატურის ყველა საგნის გადაფარვასთან დაკავშირებით, რადგან მენჩერის „ახალი ამბების ჟურნალისტიკაც" და დეფლორიც არის საკმაოდ ვრცელი სახელმძღვანელო, სადაც თემატიკაა გამოყოფილი და მხოლოდ კულტურის საკითხების შესწავლას ეძღვნება, შესაბამისად, დეფლორი მხოლოდ კულტურის საკითხებისთვის იყო მითითებული, რაც შეეხება მენჩერს, ის მითითებულია იმისთვის, თუ როგორ ხდება ახალი ამბების წერა და სპორტის ამბების განხილვა, შესაბამისად, ის ხსნის, თუ როგორ უნდა განიხილოს სტუდენტმა სპორტის თემატიკა, სწორედ ამიტომ განათავსა ეს ლიტერატურა დარგის სპეციალისტმა სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ კურსდამთავრებულის კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი არის 2018 წელს 43%, 2019 წელს კი - 49%, ამის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს ადგილზევე უთხრა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი და კვლევა ჩატარებული იყო ძველი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც მან შეისწავლა დამატებითი დოკუმენტაცია, თვალში მოხვდა სტუდენტების გაცვლით პროგრამებზე წასვლის მაღალი

მაჩვენებელი. ამ საგანმანათლებლო პროგრამებიდან ძალიან ბევრი სტუდენტი იღებს მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, ბევრია ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები, თვითშეფასების მონაცემებით დასაქმებულთა მაჩვენებელიც მაღალი უნდა ყოფილიყო, ასევე მაღალია შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე სტუდენტთა რაოდენობაც. 2018 წელს ჩარიცხულთა რაოდენობა დიდი არ არის, კონკრეტულად კი, პირველ წელს არის 150, შემდეგ 175, ანუ პირველი სამი წლის მანძილზე 200-მდე სტუდენტია, ხოლო მეოთხე წელს 721 სტუდენტი, შესაბამისად, ის დაინტერესდა, რით არის გამოწვეული, მაჩვენებლის ზრდა, როდესაც 2018 წლის დიდი ნაწილი არც არის კურსდამთავრებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ამოიკითხა თვითშეფასების ანგარიშიდან, რომ ჩარიცხვის მაჩვენებელი 2015 წელს არის 279 სტუდენტი, შემდეგ- 327, 2018 წელს კი 175 სტუდენტი, 2015-2016 წლების შემდეგ მათ დაიმატეს საგანმანათლებლო პროგრამები, ეროვნულ გამოცდებიდან მისაღები კვოტა შემცირდა და შესაბამისდ, შემცირდა რაოდენობაც. რაც შეეხება 13%, ეს იყო ტექნიკური შეცდომა, მითითებული უნდა ყოფილიყო 43%, გაცვლით პროგრამებში კი 8 სტუდენტია ჩართული.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 14:07

დასრულების დრო 14:31

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები მეტად გაჯერდეს პრაქტიკული მაგალითების განხილვა-ანალიზით, გაძლიერდეს ჟურნალისტიკის სფეროს პრაქტიკული კომპონენტი და საგნებში გათვალისწინებულ იქნას სფეროსთან დაკავშირებული სიტუაციური მაგალითების განხილვა-ანალიზი;

ბ) ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსში „ ვიზუალური თხრობა", მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი მთლიანად აწყობილია ვიზუალური მასალის შექმნა-ანალიზზე, მითითებულ იქნას ლიტერატურა, ინტერნეტ რესურსი მაინც;

გ) განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსებში;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და მათი პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ხელშეწყობა;

ე) გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციელებლებსა და დამსაქმებლებს შორის;

ვ) გაძლიერდეს სწავლის სფეროსთვის დამახასიათებელი ეთიკის საკითხების სწავლება;

ზ) სასწავლო კურსი ,,ფოტოჟურნალისტიკა" თავისი შინაარსით შეესაბამება საგანს ,,ფოტოგრაფია", ძირითად ლიტერატურად მითითებულია ,,ფოტოგრაფიის სახელმძღვანელო". შესაბამისად, უნდა

მოხდეს საგნის შინაარსის გადახედვა საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სფეროს გათვალისწინებით, ასევე, საჭიროა შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის განსაზღვრა-გამოყენება;
თ) გადაიხედოს და განვითარდეს საგანი ,,ახალი მედია''. აქცენტი არ უნდა კეთდებოდეს ძირითადად "Facebook"-ზე;
ი) გადაიხედოს საგნის ,,მედია II - ტელევიზია" სტრუქტურა და შინაარსი, სასწავლო ლიტერატურა;
კ) დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსის ,,ანალიტიკური ჟურნალისტიკა" სწავლების მიზანშეწონილობა. ყურადღება გამახვილდეს საგნის დასახელებას, მიზანსა და მისაღწევ სწავლის შედეგებზე;
ლ) ძირითადი სწავლის სფეროს განკუთვნილ სასწავლო კურსებში ყურადღება დაეთმოს ანალიტიკური უნარების გამომუშავებას;
მ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევითში) კურსების შინარსზე დაყრდნობით დამატებულ იქნას თანამედროვე უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული შესაბამისი ლიტერატურა, მათ შორის სასწავლო მასალები (შესაძლებელია ვიდეო ლექციები).

რჩევა:

ა) განხორციელდეს სასწავლო კურსების დატვირთვის (კრედიტის რაოდენობა), საათობრივი განაწილების - საკონტაქტოსა და დამოუკიდებელ საათებს შორის, ასევე საკონტაქტო საათების დროს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის რევიზია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

- ✓ **აკრედიტაციის შესახებ**
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნიერსიტეტ სეუს „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარე

2. საკითხი მეორე - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[7]	საბანკო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[8]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 25 თებერვალი, №29
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[9]	საბანკო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური[10]	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საბანკო საქმის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[11]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი[12]	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, წინანდლის ქუჩა N9.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

---

[7] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[8] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[9] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[10] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[11] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[12] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოფო ხუნდაძე საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხოციელდა 2020 წლის 16 იანვარს, რომელიც ჩვეულ რეჟიმში წარიმართა. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი, სადაც გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს 12 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი კი - 24 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს „საბანკო საქმის მაგისტრის" კვალიფიკაციას ანიჭებს ქართულ ენაზე, თუმცა გარკვეულ სასწავლო კურსებს სთავაზობს ინგლისურ ენაზე. ვიზიტმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, დაინტერესებულ პირებთან ჩატარდა გასაუბრება, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, შემოწმდა ბიბლიოთეკაში სავალდებულო ლიტერატურა, სამეცნიერო, საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა და გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით მე -2 სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, დანარჩენი ოთხი სტანდარტი სრულად შესაბამისად. ექსპერტის თქმით, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, დადებით პრაქტიკაში დაფიქსირდა მოქნილი, სტუდენტების ინტერესებზე მორგებული საგამოცდო პროცესი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხება დამსაქმებულებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის გაძლიერებას, რადგან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა პერსონალის მხრიდან აქტიური ჩართულობა ამ პროცესში, მაგრამ ვერ გამოიკვეთა მსგავსი ჩართულობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. მე-2 რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსებისათვის კრედიტების გადანაწილებას. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სწავლის შედეგების შინაარსს და გაირკვა, რომ სასწავლო კურსები გადის როგორც მარტივ, ისე - რთულ შედეგებზე, მაგალითად, კურსებში „საფინანსო ინსტიტუტებისა და საბანკო რისკების მართვა", „საბანკო აუდიტი" და „კვლევის მეთოდები ბიზნესში", კარგი იქნება დაწესებულებამ გადახედოს კრედიტებს და სამუშაო საათებს და ლოგიკურად მოხდეს კრედიტების გადანაწილება. შემდეგი რეკომენდაცია ეხება საგანს „ბიზნესის კვლევის მეთოდები", რის შესახებაც ექსპერტებმა ლექტორთან აღნიშნეს, რომ საგანი კარგად არის აგებული და მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, მაგრამ კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების შესწავლას ცოტა დრო ეთმობა. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მეთოდების გამოყენება სტუდენტების მიერ აქტიურად უნდა ხდებოდეს სამაგისტრო ნაშრომებში. ამავე რეკომენდაციაში გამოთქმულია სურვილი, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას მონაცემთა დამუშავებისთვის, მაგალითად „ეს პი ეს ესს" ან „ასტატას" და უნივერსიტეტის გადასაწყვეტია რომელს აირჩევს. სასურველია, სტუდენტებს უვითარებდნენ ცოდნასა და უნარებს მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისთვის, შესაბამისად, შეუძლიათ ამ სასწავლო კურსში დაამატონ ან ცალკე სასწავლო კურსად შემოიტანონ, მთავარია იკვეთებოდეს, რომ შედეგები მიიღწევა.

შემდეგი რეკმენდაცია ეხება, სამაგისტრო ნაშრომის და პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსებს, ექსპერტის თქმით, ვიზიტამდე წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო არც სამაგისტრო და არც პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსები, ამიტომ პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის მოწოდება მოხდა ვიზიტის დროს. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი კი არ იყო შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, სადაც გაწერილია ტექნიკური საკითხები, ნაშრომის გაფორმება, სტრუქტურა, შეფასების სისტემა, თუმცა მნიშვნელოვანია სილაბუსის შემუშავება, ისე, რომ სწავლის შედეგები იყოს დაკონკრეტებული. პრაქტიკის სილაბუსი

წარმოდგენილი იყო, რომელიც ნაკლებად გახლდათ მორგებული კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასევე, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგები იყოს დაკონკრეტებული, რომ პრაქტიკის ობიექტებს აძლევდეს ინფორმაციას, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითაროს სტუდენტებს, ანუ, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შემუშავება და პრაქტიკის სილაბუსში სწავლის შედეგების დაზუსტება. ასევე, ექსპერტებს რეკომენდაცია ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხთან დაკავშირებით, გადაიხედა ნაშრომები, სადაც გამოიკვეთა, რომ გარკვეულ საკითხებზე ნაშრომის ხელმძღვანელებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება, მაგალითად, ციტირება რეფერირების წესების დაცვზე, ასევე საერთოდ არ იყო აღწერილი გამოყენებული მეთოდოლოგია და მეთოდები, შესაბამისად, სასურველია, გააქტიურდეს ხელმძღვანელების მუშაობა. ექსპერტებმა რჩევის ნაწილში დააფიქსირეს, რომ ნაშრომებში სამეცნიერო წყაროები ნაკლებად იყო გამოყენებული, სტუდენტებს კი ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვთ, ამიტომ, უმჯობესია, მოხდეს ხელმძღვანელების ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა. ექსპერტის თქმით, მცირეა აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა და სასურველია ამ საკითხის მოკვლევა. რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, ის ეხება ხარისხის მართვის სამსახურს, რომელმაც ყველა დოკუმენტაცია წარმოადგინა, გარდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსისა, თუმცა სასურველი იყო, დოკუმენტები უფრო სისტემატიზებული ყოფილიყო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. გარდა ამისა, აკლდათ პერსონალის პირადი საქმეები, რომელიც ვიზიტის დროს გამოითხოვეს, მაგრამ ინტერვიუების პარალელურად ადგილზე ყველაფრის შესწავლა საკმაოდ რთული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ მათ არ ჰქონდათ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და ჰქონდათ პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტი, რაც გამოგზავნეს სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად. პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია კი გაითვალისწინეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მან ცენტრში ექვსივე საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაცია გამოგზავნა, რასაც თან ერთვოდა აკადემიური პერსონალის მონაცემები და კვლევის შედეგები. რაც შეეხება სისტემატიზაციას, ბიზნესის მიმართულება იყო ერთად, მისგან საბანკოს გამოყოფა არ წარმოადგენდა სირთულეს, თუმცა არიან ლექტორები, რომლებიც ბიზნესს, მენეჯმენტს, ფინანსებს კითხულობს ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოსიაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თქვა რომ კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან აქვთ ინტენსიური მუშაობა, ითვალისწინებენ მათ შეხედულებებს, თუმცა, შესაძლებელია იმ ჯგუფში, რომელსაც გაესაუბნენ ექსპერტები ყველა ვერ იყო სათანადოდ ინფორმირებული. სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობა ორიენტირებულია შედეგზე, საგანი „საბანკო საქმე" სწორედ კურსდამთავრებულების მოთხოვნით დაემატა, რადგან სამაგისტრო საფეხურზე მოდიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც საბანკო განათლება არ აქვთ ბიზნესის მიმართულებით. მეორე რეკომენდაციასთან, სამუშაო საათების და კრედიტების უფრო ლოგიკურ გადანაწილებასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ როდესაც ისინი მუშაობდნენ საგანმანათლებლო პროგრამაზე მათი გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა პირველ რიგში შედეგებიდან. სტუდენტებს, რომლებსაც ამ მხრივ უკვე აქვთ საბაკალავრო განათლება, უფრო მეტი უნარი აქვთ გამომუშავებული. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ როდესაც სტუდენტი მოიპოვებს სათანადო კრედიტს, რომ აირჩიოს თემა, ხელმძღვანელს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ორიენტაცია აქვს აღებული იქიდან გამომდინარე, თუ რა სპეციალობითაა სტუდენტი დასაქმებული. უფრო მეტად კვლევითი კომპონენტის მიმართულებით ხდება სქემატურად წარმოდგენა და ეტაპობრივად არ აფასებენ, მაგრამ არის პერიოდი, როდესაც სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი უნდა იყოს წარმოდგენილი, ამასთან ერთად, Turnitin პლაგიატის

პროგრამაში უნდა გაიაროს შემოწმება და თუ ვერ გაივლის, ეძლევა გონივრული ვადა ნაშრომის გადამუშავებისათვის. რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ გაითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას, რაც მეტად მოახდენენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას უკეთესია. გარდა ამისა, გეგმავენ კონფერენციის ჩატარებას, სადაც გამოტანილი სტატები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის მიერ არსებულ რეფერირებად ჟურნალში, ამასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული კვლევით ინსტიტუტთან, რომელთან ერთადაც ბაქოში ჩაატარეს საერთაშორისო კონფერენცია, სადაც უნივერსიტეტის თანამშრომლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოექვეყნებინათ პუბლიკაციები. ასევე, 2003 წელს მოხდა კონფერენციის ორგანიზება, ასე, რომ ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანი ქვათაძემ, ბიზნესის კვლევის მეთოდებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პირველ რიგში აღნიშნა, რომ ის არის „აისეტის" კურსდამთავრებელი, მისი განმარტებით, ბიზნესის კვლევის მეთოდების დანიშნულება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში არის ის, რომ სტუდენტმა მაღალ დონეზე შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი. მათ ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ის ძირითადი შედეგები, რომელსაც აღწევს სტუდენტი, როდესაც ნაშრომს შეასრულებს. ბიზნესის კვლევის მეთოდების საგანი კი არის იმისათვის, რომ სტუდენტი დაეუფლოს იმ ინსტრუმენტებს, რაც მას ნაშრომის შესრულებისთვის სჭირდება, განავითროს თავის სფეროში აქტუალური საკვლევი კითხვა, მოიძიოს ლიტერატურა, მოახდინოს ანალიზი, გამოიყენოს თვისობრივი ან რაოდენობრივი მეთოდები, მოაგროვოს მონაცემები, წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა, დაიცვას ის კომისიის წინაშე - ამ ყველაფერს ბიზნესის კვლევის სილაბუსი აკმაყოფილებს. რაც შეეხება არგუმენტს, რატომ არ სჭირდებათ „სტატა", ის ასაბუთებს იმით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე ის არ საჭიროებს „სტატას" დამატებას, რადგან მას სჭირდება ეკონომიკური მოდელების დამატება და რეგრესიული ანალიზი. ეკონომიკის ბაკალავრი თუ არ ჰყავს დაწესებულებას, „სტატას" პროგრამაში სტუდენტი ვერ იმუშავებს. „ეს პი ეს ესს" რაც შეეხება, ის ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტებს, რადგან დაწესებულებას აქვს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტუდენტებს ასწავლიან „ეს პი ეს ესში" მუშაობას და დაინტერესების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ კვლევითი უნარების განვითარებისათვის არჩევით სასწავლო კურსად ჩაამატონ მისი სწავლა. ბიზნესის კვლევის მეთოდები ნაშრომის შესრულებისთვის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ის ძირითადად ეთანხმება ექსპერტთა დასკვნას და ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათი აზრით, სად უნდა იმუშაონ კურსდამთავრებულებმა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულები საკმაოდ წარმატებულად საქმდებიან საბანკო სექტრში, მიკრო საფინანსო ორგანიზაციაში, საკრედიტო ორგანიზაციებში, სადაზღვეო ორგანიზაციებსა და ეროვნულ ბანკში.

ექსპერტმა დაწესებულების წარმომადგენელს პირველ რიგში უპასუხა, რომ მათ რეკომენდაციაში პროგრამები არ დაუკონკრეტებიათ, ისინი მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რადგან ბაკალავრიატის კურსდამთავრებული ამ პროგრამაში, რომ ვერ იმუშავებს, არგუმენტად ვერ მიიღებენ. რაც შეეხება საბჭოს წევრის შეკითხვას კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამა ვიწრო და კონკრეტულია, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საბანკო დაწესებულებებში, კომერციულ ბანკებში, საუბარია ოპერატორზე, „ბექ ოფისის" თანამშრომლებზე, რისკების შემფასებელზე, საბანკო აუდიტზე და ა. შ. ამჟამინდელი კურსდამთავრებულები ასეთ მაღალ პოზიციაზე არ მუშაობენ.

საბჭოს თავმჯდომარე

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათი კურსდამთავრებულები მუშაობენ საკრედიტო ოფიცრად, თი ბი სი ბანკში, საქართველოს ბანკსა და ტერაბანკში. ასევე, მათი ერთ-ერთი კურსდამთავრებული არის ლიბერთი ბანკის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელი, დანარჩენები კი მუშაობენ ფინანსთა სამინისტროში და სადაზღვეო ორგანიზაციებშიც.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საბანკო საქმის მაგისტრმა უნდა შეძლოს, როგორც კომერციულ, ისე საინვესტიციო ბანკში მუშაობა და მისთვის მიუღებელია პასუხი, რომ საქართველოში ეს სფერო აქტუალური არ არის. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უთხრა, რომ კურსდამთავრებულს აქვს საჭირო უნარ-ჩვევები, რომ საჭირობის შემთხვევაში დაიწყოს მუშაობა საინვესტიციო ბანკში. ის ექსპერტთა დასკვნას მხარს უჭერს, ბიზნესის კვლევის მეთოდების საგანთან დაკავშირებით, რომ ბანკირებისთვის აუცილებელია და გასაძლიერებელია სტატისტიკის დამუშავების სწავლება. არსებობს უამრავი სტატისტიკური და საინფორმაციო „სოფტები", რომლებიც ბანკირებს ეხმარება სტატისტიკაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელსაც ჩაატარებს ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით და ბაზებზე მუშაობაში. ასევე, აუცილებელია კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ტექნიკური ანალიზის უნარი და ფუნდამენტური ანალიზის უნარი. საგანმანათლებლო პროგრამაში კარგად უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები, მისი შეფასებები და სტანდარტები. სტუდენტებმა უნდა შეძლონ საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი, გამოიყენონს შეფასები სხვადასხვა მეთოდები, რაც ამ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ რამდენიმე საგანი, მაგალითად, „ბანკის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება", მაგრამ ეს არ არის ბანკირის ძირითადი ამოცანა. კურსდამთავრებულის ამოცანაა გარედან მოსული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების შეფასება, საბანკო ანგარიშგებები რომც არ იცოდეს კურსდამთავრებულმა ეს არ არის პრობლემა. ასევე, მისი თქმით, საინვესტიციო პროექტების საგანი არის ბაკალავრიატის დონე, საგანში ანალიტიკა ნაკლებად არის წარმოდგენილი. ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკულ კურსშიც მოცემული საკითხები არის ბაკალავრიატის დონის, ამიტომ საჭიროა ისწავლებოდეს დამატებითი საკითხები, მაგალითად, „ებიტი", როდესაც ხდება სხვადასხვა კომპანიების ფინანსური მდგრადობის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. საბჭოს წევრმა აღნიშნა სასწავლო კურსი „საინფორაციო სისტემები მენეჯმენტში", მისი აზრით ბაკალავრიატის საფეხურის საგანია პირდაპირ გადმოტანილი, მენეჯმენტს სხვა კუთხით სჭირდება საინფორმაციო სისტემების სწავლა და ბანკირს სხვა კუთხით, რადგან მან უნდა შეძლოს ბაზებზე ინფორმაციის მოძიება, სასწავლო კურსი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ოპტიმუზის სწავლებით, იმიტომ რომ არსებობს სხვა სისტემებიც, დიდი ბანკისთის კი სხვა სისტემები უკეთესია. რაც შეეხება საფინანსო სამართლის სწავლის საგანს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით საფინანსო სამართლის სწავლა შეიძლება არცისე აუცილებელი იყოს, კურსდამთავრებულმა უნდა გააძლიეროს მონაცემთა ანალიზი, რადგან ამის გარეშე ბანკირი წარმოუდგენელია. რაც შეეხება „ეს პი ეს ეს" პროგრამას, ის არ არის აუცილებელი ბანკირმა იცოდეს, რადგან არსებობს სხვა ბაზებიც.

ექსპერტმა დასძინა, რომ მათ ცალკე გამოყვეს რეკომენდაცია, რომ უნდა განვითარდეს ცალკე მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი მიიჩნევენ, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსი აკმაყოფილებს კურსის ფარგლებში გაწერილ მიზნებს და შედეგებს და პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, საფინანსო საქმიანიანობის ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს, მოიცავს ორგანიზაციის, ინსტიტუტებისა და ინდივიდების ფინანსური რესურსების მონიტორინგსა და კონტროლს, ასევე, კორპორაციებისა და ინდივიდების საფინანსო მომსახურების საკითხებს, მათ შეიმუშავეს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ფარავს ამ საკითხებს.

საბჭოს წევრის გიორგი თურქიას თქმით, ხარისხიანად რომ შემოწმდეს სხვადასხვა კომპანიის საფინანსო პარამეტრები, უნდა შესთავაზონ სერვისები, ინვესიტიციები, კრედიტები, სტუდენტს სჭირდება სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

საბჭოს თავმჯდომარე

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ გარდა კვლევის მეთოდებისა, სასწავლო კურსებში გათვალისწინებული აქვთ „ფინანსური სერვისების მარკეტინგი". რაც შეეხება „საბანკო რისკების მენეჯმენტს", ეს არ ნიშნავს მხოლოდ საბანკო რისკებს, არამედ, ის მოიცავს ფინანსურ-საოპერაციო რისკებს, ბანკირმა უნდა იცოდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ფინანსური აღრიცხვა, კომერციული ბანკის ფინანსური ანალიზი და საბანკო აუდიტი. რაც შეეხება „საფინანსო სამართლის" სასწავლო კურს, ის არჩევით კურსშია, რადგან საბანკო საქმის წარმომადგენლებმა სასურველია, იცოდნენ საფინანსო სამართალი და შეეძლოთ სადაზღვეო სისტემების რეგულირების სიღრმისეულად განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციის აღმწერს და მათი აზრით სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. 120 კრედიტში გათვალისწინებულია კვლევითი პროექტი და პრაქტიკა, მაგისტრანტის კვალიფიკაცია კი პასუხობს ამ მოთხოვნებს, ეს არ არის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც გააჩნია კლასიფიკატორი, მოყვება თავისი აღმწერი, რომლის ფარგლებშიც გააკეთდა მაქსიმუმი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობასა და ბანკირს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ სტუდენტი სწავლობს რაოდენობრივი კვლევის ანალიზს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ასეთ შეთხვევაში ჩარჩოს ვერ მოერგებიან.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა კვლევის მეთოდოლოგიის საგანთან დაკავშირებით, თქვა, რომ რეკომენდაცია ალბათ გამომდინარეობდა იქიდან, რომ ცალკე სხვა სავალდებულო საგანი არ იყო წარმოდგენილი, რომელიც ამას ავსებდა. ის ვერ დაეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მთავარი მიზანი სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი, რომ დაწეროს არის კვლევითი საგანი, მაგისტრს უნდა შეეძლოს, კვლევა და ჰქონდეს ანალიტიკური უნარები. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის წერისას რომელ „სოფტს" იყენებენ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევისას. მისი თქმით, ზოგადად ფინანსური საგნების არქიტექტურას, რომ შეხედონ, არის ბევრი სილაბუსი, რომელში გათვალისწინებული ლიტერატურაც დამწყებისათვისაა განკუთვნილი და არა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტისთვის, მაგალითად, „კომუნიკაციებისა და მოლაპარაკების" სილაბუსში მითითებულია ლექტორის „ჰენდაუთი", არჩევითი საწყისი მასალა, საქმიანი წერილების შესწავლა, ანუ საგნის არქიტექტურა მენეჯერული ხასიათისაა.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვა, რომ სამეცნიერო წერა აკადემიური წერის კურსია, „კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების" ლიტერატურა კი, რაც ორივე სილაბუსშია მითითებული, არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, არამედ ის განკუთვნილია საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი არც უარყოფდნენ, რომ მთავარი მიზანია, სტუდენტმა ბიზნესის კვლევის მეთოდები შეისწავლოს და ჰქონდეს განვითარებული კვლევითი უნარები, მაგრამ ის გულისხმობდა იმას, რომ ძირითადი უნარები, რაც მან შეიძინა თეორიული და პრაქტიკული საგნებით, ერთბაშად უნდა გამოამჟღვანოს ნაშრომის შესრულების დროს, თუმცა, სწავლების ფარგლებში სტუდენტები ძალიან ბევრ პროექტს წერენ, რაც არ არის სამაგისტრო ნაშრომი. რაც შეეხება „სოფტს", სტუდენტები ბევრ პრაქტიკულ დავალებას ექსელში ასრულებენ, რაც აპრობირებული მეთოდია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი არ ზრდიან ეკონომისტს, რომელმაც უნდა აწარმოოს მნიშვნელოვანი კვლევები, დატესტოს ეკონომიკური მოდელები და შემდეგ განახორციელოს რეგრესული ანალიზი, შესაბამისად, ამ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ამ ყველაფერს აკეთებენ ექსელის პროგრამაში. რაც შეეხება „კომუნიკაციებს და მოლაპარაკებებს", ეს საგანი არჩევითია და მისთვის გაუგებარია რატომ არ შეესაბამება სილაბუსი შინაარს მაშინ, როდესაც სილაბუსი აპრობირებულია, „ჰენდაუთი" კი, რომელიც არის მითითებული კურსის სილაბუსში, ექსპერტებს შეეძლოთ კონკრეტული სასწავლო კურსის მიხედვით მოეთხოვათ. ზოგადად კი, დიდი რაოდენობის ლიტერატურა არის ნათარგმნი

რაც აპრობირებული მეთოდია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი არ ზრდიან ეკონომისტს, რომელმაც უნდა აწარმოოს მნიშვნელოვანი კვლევები, დატესტოს ეკონომიკური მოდელები და შემდეგ განახორციელოს რეგრესული ანალიზი, შესაბამისად, ამ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ამ ყველაფერს აკეთებენ ექსელის პროგრამაში. რაც შეეხება „კომუნიკაციებს და მოლაპარაკებებს", ეს საგანი არჩევითია და მისთვის გაუგებარია რატომ არ შეესაბამება სილაბუსი შინაარს მაშინ, როდესაც სილაბუსი აპრობირებულია, „ჰენდაუთი" კი, რომელიც არის მითითებული კურსის სილაბუსში, ექსპერტებს შეეძლოთ კონკრეტული სასწავლო კურსის მიხედვით მოეთხოვათ. ზოგადად კი, დიდი რაოდენობის ლიტერატურა არის ნათარგმნი და „ჰენდაუთის" სახით წარმოდგენილი. საბოლოო ჯამში კი უნდა ითქვას, რომ სტუდენტებს აქვთ ბევრი პრაქტიკული დავალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამეცნიერო წერის სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაამატა, რომ თუ მაგისტრანტი გადაწყვეტს, მას აქვს არჩევის საშუალება. რაც შეეხება კონფერენციებს, სტუდენტები სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობენ, სადაც პრაქტიკულ უნარებს ივითარებენ.

საბჭოს წევრი მანანა კევლიშვილი დაინტერესდა თვითშეფასებაში მითითებული მონაცემები იმის შესახებ, რომ 2019 წელს არ ჰქონიათ სტუდენტთა მიღება და რომ არცერთი კურსდამთავრებული არ ჰყავთ რამდენად სწორი ინფორმაცია იყო?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2019 წელს არ ჰყავდათ არც კურსდამთავრებულები და არც ჩარიცხულები, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აგვისტოში გამოგზავნეს.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა, რომ რა კვალიფიკაციაც მათ აქვთ მითითებული კოდით 0412 არის საბანკო საქმე, ბანკინგი, გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან ის არის ფინანსები და საბანკო საქმე თუ საბანკო საქმე?

ექსპერტის თქმით კვალიფიკაცია არის საბანკო საქმის მაგისტრი, შინაარსიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა არის საბანკო საქმე.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ მათ აქვთ ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი, რომლის გაძლიერებაც სასურველია, ასევე, კურიკულუმში აქვთ ფინანსური სერვისების მარკეტინგი, ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და რეგულირება, საპენსიო ფონდები სადაც მინიმალური საათები ეთმობა საბანკო რეგულაციებს, მას მნიშვნელოვნად მიაჩნია დიდი ყურადღება დაეთმოს სწავლა-სწავლების მეთოდებს, განსახილველი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, ერთ-ერთ სასწავლო კურსში თითქმის ყველა სალექციო საათის ბოლოს იყო მითითებული დისკუსია-დებატი. მან აღნიშნა, რომ მათ უნივერსიტეტთან უკვე მესამედ უხდება ამ პრობლემზე საუბარი, რომ 2018 წლის მონაცემებით საერთო დასაქმება არის 35%. რაც ნიშნავს რომ ყოველი 6 კურსდამთავრებულიდან 4 უმუშევარია, 42% კვალიფიკაციით დასაქმებული, ანუ 6 კურსდამთავრებულიდან ერთმა მოახერხა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება, საბჭოს წევრი დაინტერესდა რა გეგმები აქვს დაწესებულებას ამ მიმართულებით?

დაწესებულების წარმომადგენელმა დასაქმებასთან დაკავშირებირებით აღნიშნა, რომ დასაქმება კერძო უნივერსიტეტისთვის ნამდვილად გამოწვევაა, ისინი სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობენ უპასუხონ მას, აქვთ კარიერის განვითარების ცენტრი, რომელიც მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე, ტარდება დასაქმების ფორუმები, სტუდენტების გამოკითხვები და მთავარი კითხვა კურსდამთავრებულებისთვის იყო ის, თუ რა კომპეტენციები გამოიყენეს და რა არ ეყოთ საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას? მისი თქმით, ისინი დიდ ფინანსურ რესურს ხარჯავენ იმისათვის, რომ განახორციელონ შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც იმ

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მოამზადეს, რომლებიც აკრედიტაციას გადიოდნენ, დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამები კი არის მომზადების ეტაპზე, გამომდინარე აქედან, ნებისმიერი რესურსი გაზრდილი, რომ იყოს ამისთვის ყველანაირი ფინანსური მხარდაჭერა აქვთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ 120 კრედიტიდან 78 კრედიტი წმინდა საბანკო მიმართულების საგნებს ეთმობა. მისი თქმით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფაქტობრივად საბანკო დაწესებულებაა და შესაბამისად, ამდენი საგანი გათვალისწინებულია კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ფინანსური სერვისების მარკეტინგი, საინვესიტიციო პროექტები თუ სხვა.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებობს საგანი „ფინანსური სერვისების მარკეტინგი", რაც ძალიან კარგია, მაგრამ საბანკო საქმე არის ვიწრო კვალიფიკაცია, შესაბამისად, უნდა გააკეთონ კვალიფიკაციის შესაბამისი სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრის ნიკა თიკანიშვილის თქმით საუკეთესო პრაქტიკის მიზანი, რომელიც დასკვნაში იწერება, არის ის, რომ გაზიარება მოხდეს, საუბარია საგამოცდო სისტემაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა რას აფასებენ ექსპერტები, რითია განსხვავებული ის სხვა სისტემებისგან? თუ კვალიფიკაციის შინაარსობრივი ნაწილი გადის შედეგზე, ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ასევე, მისი თქმით, მან ნახა, რომ სტუდნტების რაოდენობა მაგისტრატურაზე მზარდია და საინტერესოა, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან რამდენად თავსებადია?

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკა ნაკლებად ეხება მის შინაარსობრივ ნაწილს და ძირითადად ტექნიკურ გამართულობასთან არის დაკავშირებული. დაწესებულებას არ აქვს საგამოცდო ცხრილი, რადგან აქვთ ძალიან მოქნილი სისტემა და დროში არ არის გაწერილი თუ კონკრეტულ გამოცდას რომელ საათზე ჩააბარებს სტუდენტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვა, თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას რესურსი, რომ ცალ-ცალკე მოსულ სტუდენტებს აწერინონ გამოცდები? რაზეც პასუხად მიიღეს, რომ თანამშრომლები მობილიზებული არიან მოემსახურონ სტუდენტებს და უზრუნველყონ საგამოცდო გარემოს შექმნა მათთვის ხელსაყრელ დროს. გარდა ამისა, ყველა გამოცდა კომპიუტერზე ბარდება და სისტემა სტუდენტთა ინტერესებზეა მორგებული.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ბევრი სტუდენტია, ექსპერტის ნათქვამით კი გამოდის, რომ სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოცდის ჩაბარება, შესაბამისად, საინტერსოა არის თუ არა კონკრეტულ საგნებში უზრუნველყოფილი, რომ სტუდენტებს განსხვავებული ვარიანტები შეხვდეთ? რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სხვადასხვა ვარიანტები უზრუნველყოფილია.

ექსპერტმა განმარტა, რომ მასალა ლექტორების მიერ იგზავნება უშუალო გამოცდის წინ, გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს უზარმაზარი მატერიალური ბაზა და გამოცდა აუცილებლად ტარდება საგამოცდო პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ აქვთ 4 საგამოცდო ცენტრი, თითოეულ ცენტრში 150 სტუდენტი ეტევა, 60 გადამზადებული მეთვალყურე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრიდან, ასევე, აქვთ 6 საგამოცდო ცენტრი რეგიონში და სტუდენტები დასკვნით გამოცდებს წერენ იქიდან. აღნიშნული ცენტრები კი ისევეა აღჭურვილი, როგორც თვითმმართველ ქალაქში, აქვთ კითხვების ბანკი, საიდანაც სტუდენტებთან არეული სისტემით მიდის კითხვები. ამასთან, ლექტორი ვერ ხედავს ვინ წერს გამოცდას, რაც გამჭვირვალობისთვის არის ძალიან კარგი, ლექტორი სტუდენტს აძლევს უკუკავშირს ნაშრომის გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია ვიწროა და კვალიფიკაციისთვის ყველა საჭირო ცოდნასა და უნარებს გამოუმუშავებს აღნშნული სასწავლო კურსები, იმ შემთხვევაში, თუ ხარისხიანად მოხდა სწავლება და სტუდენტის მიერ დაუფლება. ასევე, სასურველია, გიორგი თურქიას რჩევების გათვალისწინება, რაც შეეხება კრედიტების

მენტორთან, საიდანაც სტუდენტს მოაქვს ანგარიში და დღიური, სადაც მითითებულია თუ რას აკეთებს პრაქტიკის ობიექტში.
ექსპერტის თქმით მათ გარკვეული რაოდენობის სავალდებულო ლიტერატურა გამოითხოვეს, თუმცა შეუძლებელი იყო ყველა „ჰენდაუთი" და ლიტერატურა ენახათ ვიზიტის დროს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგამოცდო სისტემა სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის კომფორტულია და შეუძლიათ საზღვარგარეთიდანაც ჩაერთონ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არჩევით საგანს „საფინანსო სამართალი" აქვს ხარვეზი შინაარსობრივი და მეთოდოლოგური თვალსაზრისით და ეს საგანი ასეთი სახით არ უნდა ისწავლებოდეს. მისი თქმით, უმჯობესია ავტორმა ორიენტაცია აიღოს ერთი მიმართულებით. მან ამოიკითხა ლექტორები ალექსანდრე ტვილდიანი, ირაკლი კალანდაძე, რომლებიც თუ გაითვალისწინებენ ამ რჩევას კარგი იქნება. ასევე სასურველია ამოიღონ ისეთი საკითხები, როგორიცაა „სადაზღვეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება", „საქართველოს საბიუჯეტი კოდექსი" და „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი".
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაითვალისწინებენ მის შენიშვნას.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 15:50
დასრულების დრო 16:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან".

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა;
ბ) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები" მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას, კურიკულუმში განისაზღვროს სტატისტიკისა და გადაწყვეტილების ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის (Analytics Software Solutions) საკითხების სწავლება და გამოყენება;
გ) სტუდენტთა მიერ შესრულებული ნაშრომები შეფასდეს მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ნაშრომის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაცვით;
დ) რეკომენდებულია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასებების, გამოკითხვების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების სისტემატიზაცია

პროგრამების მიხედვით. ასევე, გადამოწმდეს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდგომი ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით;

ე) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს ისეთი საკითხები როგორიცაა: ფინანსური ანგარიშგებები, „რიპორტინგი", IFRS, შეფასების მეთოდები (Value Chain), ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზი, დერივატივები, ოფციონები, ინვესტიციების მართვა, მონაცემთა ანალიზი;

ვ) კურუკულუმში წარმოდგენილ სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი" მოხდეს შინაარსის გადახედვა. გარდა ამისა, იგივე საგანი იგივე შინაარსით და ლიტერატურით გვხდება ბაკალავრიატის საფეხურზე. ამ და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სხვა სასწავლო კურსების განხილვის შედეგად გამოიკვეთა სამაგისტროს საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე კურიკულუმის სტრუქტურის გადახედვა, სასწავლო კურსებისა და მისაღწევი სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის დადგენა. მნიშვნელოვანია სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ურთიერთაკავშირი და საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, კერძოდ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ფორმირება.

ზ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

რჩევები:

ა) განხორციელდეს სასწავლო კურსების დატვირთვის (კრედიტის რაოდენობა), საათობრივი განაწილების - საკონტაქტოსა და დამოუკიდებელ საათებს შორის, ასევე საკონტაქტო საათების დროს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის რევიზია.

ბ) აკადემიურ პერსონალს ხელი უნდა შეეწყოს და თავადაც მეტად უნდა იაქტიურონ რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი -11

გადაწყვეტილება:

- აკრედიტაციის შესახებ
- პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ**
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად უარი უთხრა შპს საქართველოს ეროვნული უნიერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე

3. მესამე საკითხი - ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[13]	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
3	სტატუსი[14]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 3 თებერვალი, №17
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[15]	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური[16]	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი, ქიმიის მაგისტრი, ბიოლოგიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[17]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი[18]	საქართველო, ქ. თბილისი, 0159, კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 240.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

---

[13] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[14] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[15] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[16] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[17] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[18] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ვლადიმერ ციციშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შეისწავლეს ყველა ასპექტი აგრარულ უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლბლო პროგრამისა, რომელიც მოიცავს ფიზიკას, ქიმიას და ბიოლოგიას, ის თავად ქიმიკოსია და მისთვის უფრო გასაგები იყო ქიმიური საკითხები, მას ყველაფერი ძალიან მოეწონა, თუმცა ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები. ძირითადი შენიშვნები ეხებოდა იმას, რომ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ფიზიკა ხელოვნურად იყო დაკავშირებული ქიმიასა და ბიოლოგიასთან, რადგან ცალკე ქიმია და ბიოლოგია შესანიშნავად იყო შერწყმული. ასევე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას მეტი კავშირი ჰქონდეს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან, აღჭურვილობა ემსახურება ამ ამოცანებს, გამოყენებული მეთოდებიც, განსაკუთრებით ბირთვული მაგნიტური რეზონასის თანამედროვე ხელსაწყო, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომ კარგად შეისწავლოს ეს სფერო. ის თავად იყო ბირთვული მაგნიტური რეზონანსის რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი და მისი თქმით, ასეთი საშუალება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს. გარდა ამისა, მათ კარგი კოოპერაცია აქვთ ყოფილ აკადემიურ კვლევით ინსტიტუტებთან.

დაწესებულების რექტორმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ წერილობით წარმოადგინეს მათი პოზიცია და რეკომენდაციები არ გაიზიარეს. პირველი რეკომენდაცია, ტერმინოლოგიის შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, ფორმალურადაც არასათანადო რეკომენდაციაა, რომ ტერმინოლოგია რეგულაციიდან არ გამომდინარეობს და მე -2 საფეხურს არ შეესაბამება. ასევე, იყო რეკომენდაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში უნდა დაფიქსირდეს სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განხორციელებზე მხარეთა პასუხისმგებლობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხარეთა პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით 2 უნივერსიტეტს შორის და კურიკულუმში მისი მითითება არ არის საჭირო, რაც უფრო პროდუქტიულიცაა. მხარეები სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები. მითითებამ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე შეიძლება უარესად იმოქმედოს. მე-3 რეკომენდაცია არის, რომ ბიოლოგიის მიმართულებით დაემატოს კოგნიტური ნეირო მეცნიერების მოდული. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულების მეშვეობით, შესაბამისად, ამ საგნის დამატება მაქსიმუმ რჩევად შეიძლება მიიღონ. ამ თვალსაზრისით ინტელექტუალური რესურსი აქვთ, თუმცა ვალდებულებად ვერ აიღებენ. რაც შეეხება კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, ყოფილი მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები, დიდი ნაწილი აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომელია და სისხლხორცეული ინტეგრაცია აქვთ. ფიზიკას რაც შეეხება, ექსპერიმენტული არ არის და თეორიულში საკმაო დოზითაა წარმოდგენილი. საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ერთი მხრივ არის ინტეგრაცია და

მეორე მხრივ არც უნდა იყოს. ინტეგრაცია არის მაგისტრანტების საბაზო მომზადებაში, მაგისტრანტები ირჩევენ მიმართულებას და შემდეგ მუშაობენ ამ მიმართულებით, ისინი ისურვებდნენ, რომ მაგისტრანტებმა იმუშაონ მეცნიერებათა მიჯნაზე, თუმცა ამის ხელოვნურად წახალისებას ვერ შეძლებენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მე-2 რეკომენდაციის ადრესატი პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სტუდენტები იყვნენ თუ ლექტორები?

ექსპერტმა, რომელიც ჩართული იყო პროცესში, საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ მისი ვარაუდით რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და არა სტუდენტებს. რაც შეეხება იმას, რომ აგრარული უნივერსტეტის შემადგენლობაში შედის ყოფილი აკადემიური ინსტიტუტი, მისთვის ცნობილია, თუმცა დღეს ელექტრო ქიმიის და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში არსებობს სტუდენტებისთვის სპეციალური ცენტრი, რომელიც მათ ეხმარება კოორდინაციაში, თუ სად რა ხელსაწყო არსებობს და სად შეიძლება გამოკვლევების გაკეთება, თუმცა ეს მისი რჩევაა და არა რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნუცა ბათიაშვილმა დაამატა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთიანი მენეჯმენტი, შინაარს მოკლებულია კურიკულუმში პასუხისმგებლობის გაწერა. კოლაბორაციებს რაც შეეხება, საგანმანათლებლო პროგრამა კვლევაზე ორიენტირებულია, შინაარსი განისაზღვრება იქიდან გამომდინარე, რა კვლევითი ინტერესი აქვს სტუდენტს. ფიზიკის ინტეგრირება დიდწილად ამაზეა დამყარებული და ნელ-ნელა აშენებენ კოლაბორაციულ კავშირებს, გამომდინარე იქიდან რა ინტერესების მქონე სტუდენტები მოდიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, ნელ-ნელა ეს პლატფორმა ვითარდება. ნეირომეცნიერებებს რაც შეეხება, ამ მიმართულებით აშენებენ პლატფორმას, აქვთ სემინარების ციკლი თუ კვლევითი პროექტები. საგანმანათლებლო პროგრამაში ამ მიმართულებით ცვლილების მოთხოვნა ნიშნავს სტანდარტთან შესაბამისობის დადგენას, თუმცა, არ დაზიანდება საგანმანათლებლო პროგრამა თუ არ დაემატება ნეირომეცნიერებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავდა საგანმანათლებლო პროგრამას და რამდენად მოთხოვნადი იყო ის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავთ 10 სტუდენტი, თუმცა წინა წლებში იყო ნაკლები მოთხოვნა და 5-6 სტუდენტი ჰყავდათ ხოლმე. გარდა ამისა, აქვთ ინდივიდუალური კურიკულუმი, რომელიც სტუდენტების დიდ რაოდენობაზე არ არის გათვლილი და აქვს შეზღუდვაც რადგან ლიმიტი 15 სტუდენტია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ თუ რეკომენდაცია კურიკულუმში პასუხისმგებლობის გაწერაზე ადმინისტრაციას ეხება, მისი პასუხია, რომ ეს დარეგულირებულია ხელშეკრულებებით, რომელიც თავის მხრივ დარეგულირებულია ცენტრთანაც და კურიკულუმი არის სტუდენტთა სასაუბრო დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ თქვა, რომ ეს არის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც 3 სხვადასხვა კვალიფიკაციას გასცემს, ახალ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აღნიშნული ჩაშლილია ცალ-ცალკე კვალიფიკაციებით, შესაბამისად, ის დაინტერესდა რაიმე პრობლემას ხომ არ შექმნიდა ეს და სამომავლოდ რას აპირებს დაწესებულება?

პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინეს ცენტრში სააკრედიტაციოდ, მაშინდელი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო ამ ფორმით წარდგენა და თუ რეგულაცია მისცემს საშუალებას ასე დატოვებენ სამომავლოდაც. მითუმეტეს, რომ მისი თქმით, მოუსმენია გარკვეული მინიშნებები, რომ განათლების სამინისტრო აპირებს ამ მიდგომის გადახედვას სამაგისტროს მიმართულებით, შესაბამისად, დაელოდებიან მოვლენების განვითარებას. მსგავსი გამოცდილება უკვე ისედაც აქვთ, რადგან ჰქონდათ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაშალეს და ცალ-ცალკე შემოიტანეს, ამ შემთხვევაში აპირებენ სხვა მეთოდით დაშალონ, რადგან დღევანდელი კანონმდებლობით, რომ წარედგინათ 3 პროგრამას წარადგენდნენ სააკრედიტაციოდ.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი დაეთანხმა ექსპერტთა პირველ რეკომენდაციას. მან წაიკითხა დაწესებულების წარმომადგენლების არგუმენტირებული პოზიცია, ასევე, დასკვნაშიც გაეცნო საიდან გაჩნდა აღნიშნული ჩანაწერის აუცილებლობა. დაწესებულების წარმომადგენლები წერენ, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არცერთი რეგულაციიდან არ გამომდინარეობს თავისუფალი კომპონენტის არსებობის აუცილებლობა, რაც არ გაიზიარეს ექსპერტებმა და რეკომენდაცია რეკომენდაციად დარჩა. საბჭოს წევრის თქმით, აკრედიტაციის ახალი სტანდარტი ავალდებულებს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს სტანდარტი ეხება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტები მიუთითებენ კვალიფიკაციის ჩარჩოზე, რომ არჩევითი საგნები საგანმანათლებლო პროგრამაში მიზნიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც ექსპერტების მოსაზრებითაც მოსაწონია, თუმცა დაწესებულებას აქვს დისკრეცია ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ეს არჩევითი საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სტუდენტებს არჩევითი საგნების ძალიან დიდი არჩევანი აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს მიზანი, რომელიც თუ შეესაბამება არჩევით საგნებს, გავა შედეგზეც, ხოლო თუ არ აქვს მიზანში, არ არის აუცილებელი თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითი კურსების დამატება, რადგან ეს უნივერსიტეტის გადასაწყვეტია.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, თუ რა არის სტუდენტების დეკანის ფუნქცია-მოვალეობები? საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტუდენტების დეკანს უწოდებენ სასწავლო პროცესის მმართველს.

საბჭოს წევრი ნიკა თიკნაშვილი ასევე დაინტერესდა თუ ხდებოდა პლაგიატზე ნაშრომების შემოწმება, რაზეც დაწესეულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კეთდება ექსპერიმენტული პროექტი, სადაც ნაშრომის შემოწმება ხდება ხელმძღვანელის მიერ, მათ შორის პლაგიატზე.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 17:04

დასრულების დრო 17:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი -0

საბჭოს თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

- ✓ **აკრედიტაციის შესახებ**
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია.

4. **საკითხი მეოთხე - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[20]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 4 დეკემბრის, №244
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[23]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

11	განხორციელების ადგილი[24]	საქართველო, ქ. გორი, 1400, ჭავჭავაძის №53.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა საგნის „მულტიმედია-ჟურნალისტიკა" დამატება, რადგან ჟურნალისტიკა ითხოვს განსაკუთრებულ უნარებს, ასევე, შრომის ბაზრის კვლევაშიც მულტიმედიის ცოდნა არის მოთხოვნა, გამომდინარე აქედან, ექსპერტებმა საჭიროდ მიიჩნიეს ისეთი სამონტაჟო, გრაფიკული პროგრამებისთვის, სხვადასხვა ტიპის მედია პლატფორმებისთვის მოსამზადებლად აუცილებელი და მიზანშეწონილია დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კატალოგს მულტიმედია ჟურნალისტიკის სასწავლო კურსი, კურიკულუმში არის ისეთი საგნები, რომლებიც პრაქტიკულ უნარებს უნდა ავითარებდეს, „ტელეჟურნალისტიკა", „რადიოჟურნალისტიკა". „სამაუწყებლო ჟურნალისტიკა". ექსპერტებმა, როდესაც სილაბუსებს ჩახედეს, ნახეს რომ მასალა ძირითადად თეორიულია, შესაბამისად, გასცეს რეკომენდაცია, რომ ხდებოდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც სილაბუსში უნდა გაიწეროს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ისწავლება ინტერნეტ ჟურნალისტიკის კურსი, თუმცა პრაქტიკის კურსში, სადაც ხდება თეორიული ცოდნის თავმოყრა პრაქტიკის სილაბუსში არ არის გაწერილი ინტერნეტ ჟურნალისტიკა, შესაბამისად, მათი რეკომენდაციაა პრაქტიკის კურსის წინაპირობად მიეთითოს ინტერნეტ ჟურნალისტიკის საგანი და ეს კომპონენტი პრაქტიკის სილაბუსში გაიწეროს. მისი თქმით, არის რიგი კურსები მაგალითად, „ფსიქოლოგიის საფუძვლები", „დემოკრატია", „ფილოსოფია", სადაც სწავლა-სწავლების მეთოდად მითითებულია პრაქტიკული საათები და ის მოიცავს საველე სამუშაოებს, რაც როგორც გასაუბრებისას დაადგინეს, ძირითადად სასემინარო

[24] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

მეცადინეობაა, შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სწავლის ადეკვატური მეთოდები უნდა იყოს გაწერილი. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს მედია ცენტრი, არც სტუდია, რომელსაც წარმოადგენს 2 სავარძელი და ტექნიკური ბაზა არის შესაქმნელი. უნივერსიტეტის პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით კი იყო ის, რომ მიდის მოლაპარაკებები ამერიკის საელჩოსთან, რაც სარწმუნოდ მიიჩნიეს, რადგან რეგიონი კონფლიქტურია, აშშ-ს საელჩო კი დიდ დახმარებას უწევს ჟურნალისტებს და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ ჩიკაგოში გადამზადების კურსებზე. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ საჭირო იყო რეკომენდაციის გაცემა, რომ თუ არ იქნება მედია ცენტრი და ადგილზე არ მოხდება ჟურნალისტების მომზადება, მხოლოდ გაცვლითი პრაქტიკის დროს ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

დაწესებულების წარმომაგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ სწავლის ბევრი შედეგი აქვთ და მისი თქმით, ოქროს წესი 10 შედეგთან დაკავშირებით არ მოქმედებს. აკრედიტაციის სახელმძღვანელოშიც არ არის ეს ციფრი მოცემული, ხოლო ჩარჩო როცა დამტკიცდება, მოახდენენ მის ოპტიმიზაციას. რაც შეეხება პრაქტიკას, მათ უკვე გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები და მოწვეული ჰყავთ პრაქტიკოსები, ასევე, ეთანხმებიან ინტერნეტ ჟურნალისიკის საგნის პრაქტიკის წინაპირობად გაწერას და ეთანხმებიან, რომ ჩაიშალოს პრაქტიკული მეცადინეობა, როგორც ერთ-ერთ სილაბუსში აქვთ.

დაწესებულების რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან რეკომენდაციებს, რომელიც ეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. ასევე შექმნილია სტუდია და მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება ამერიკის საელჩოსთან, რომელმაც პირდაპირი მხარდაჭერა გამოუცხადა რეგიონის უნივერსიტეტს, მათი და გუბერნიის თანადაფინანსებით კი შეიქმნება რეგიონის მედია ცენტრი და დაემატება პრაქტიკული ჟურნალისტიკის საგნები. რეგიონში ბოლო წელს შეიქმნა აბიტურიენტების რამდენიმე საინფორმაციო პორტალი და ტელევიზია და მათი აზრით, მიმდიბარე წელს აბიტურიენტთა მძლავრი ნაკადი ეყოლებათ. რექტორის თქმით, კონფლიქტური რეგიონის ვითარებიდან გამომდინარე, მათი მიზანია ადმინისტრაციულ ერთეულში ჟურნალისტების მომზადება. მისი განმარტებით, მათ ადგილობრივ რეგიონში ჰყავთ მოძიებული ორგანიზაციები, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას, არიან დახელოვნებული ჟურნალისტები და მათი დასაქმების დინტერესება ძალიან მაღალია. გარდა ამისა, ისინი გეგმავენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩადონ კაპიტალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დღეისათვის პროგრამაზე 10 სტუდენტი ჰყავთ.

საბჭოს წევრმა ნიკა კიკნაძემ იკითხა 2019 წელს რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა საგანმნათლებლო პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2019 წელს ჩაირიცხა 3 სტუდენტი.

რექტორის თქმით, მათი დანიშნულება არის წარადგინონ ცენტრში მომგებიანი საგანმანათლებლო პროგრამები და რომ არ ეიმედებოდეთ ეს საგანმანათლებლო პროგრამა, არც წარადგენდნენ ცენტრში. მათ წინასწარ აქვთ გააზრებული, თუ რაოდენ დიდია ამ საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა რეგიონულ ჭრილში.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაეთანხმა ექსპერტებს, რომ პრაქტიკული კომპონენტი ძალიან ცოტაა, რის გარეშეც წარმოუდგენელია ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. მისი თქმით, ამ მხრივ სამუშაო ბევრია, ასევე, ბევრი საგანი აღებულია სხვადასხვა პროგრამებიდან, როგორიცაა „სოციალური ეკონომიკა", რომლის „ქეისების" გარჩევის შეთავაზებას აზრი არ აქვს. საბჭოს წევრის თქმით, კარგი იქნება, თუ საგნების მეტ არჩევანს შესთავაზებენ სტუდენტებს. ასევე, კარგი იქნება, შესთავაზონ ბლოკი, რომ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღონ შესაბამისი ცოდნა. გარდა ამისა, ციფრული ჟურნალისტიკის საგანიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი კონკურენტუნარიანი იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან არ აქვთ საგანი, რეკომენდაციას, რომ სოციოლოგიის საფუძვლები გადაიტანონ ძირითად ბლოკში, არ გაითვალისწინებენ. რაც შეეხება

კვალიფიკაციას, ისინი სტუდენტს ანიჭებენ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციას.

ექსპერტმა დაამატა, რომ მულტიმედიის ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით არ ჩაწერეს რეკომენდაცია, რადგან თუ მულტიმედიას ზუსტად ისე ჩასვავენ როგორც ჩამონათვალია, მაშინ ექნებათ ეს შედეგი. არჩევითი საგნები მოცემულია 20 კრედიტის მოცულობით და ექსპერტთა ჯგუფმა მეტი არჩევანის საშუალება გაწერა რჩევაში, რომ ჟურნალისტიკის სპეციალობის მეტი საგანი დაემატებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი გაითვალისწინებენ ამ შენიშვნას.

საბჭოს წევრმა ნიკა კიკნაძემ აღნიშნა, რომ საგნებში გასაახლებელია ლიტერატურა, ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება კი არ შეესაბამება კურსის შინაარსს. ლიტერატურა არ ფარავს სასწავლო კურსებს „რეკლამა მედიაში" და „მედია მენეჯმენტი". ასევე, სოციალური კვლევის მეთოდებში ლიტერატურა გასაახლებელია და გადასახედია საგანიც.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ თუ მედიაცენტრს შექმნიან, ეს მხოლოდ მისასალმებელია. სწავლა-სწავლების ფორმების გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა როგორ ფიქრობენ ექსპერტები, ეს მეთოდები არ შეესაბამება სასწავლო კურსებს თუ გამოიყენება სხვადასხვა სწავლის მეთოდები და კიდევ, რომ დაემატოს უმჯობესი იქნება?

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის ჩამონათვალშია ისეთი საგნები, რომელსაც არ შეიძლება პრაქტიკული დავალებები ჰქონდეს, შესაბამისად, სასურველია, გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდების მიზნობრიობა სასწავლო კურსებში, რადგან ზოგადი ტიპის საგნებისთვის პრაქტიკის ქონა ნაკლებად შესაძლებელია. სწორედ ამიტომ რეკომენდებულია გადაიხედოს ამ მეთოდის მიზნობრიობა.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა 3.1 ქვესტანდართან დაკავშირებით, რომ მისასალმებელია, რომ გაცვლითი პროგრამით უკვე ისარგებლეს სტუდენტებმა თურქეთში, ბულგარეთსა და პოლონეთში. ის ასევე დაინტერესდა, თუ რომელ პროგრამაში იყვნენ ისინი ჩართულები?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაცვლითი პროგრამით ერთი სტუდენტი იყო თურქეთში, მეორე ვარშავის უნივერსიტეტში, ხოლო ერთი ამერიკაში, რომელიც მოქმედი ჟურნალისტია.

რექტორის თქმით, გარდა ერასმუსის პროექტისა, მათ ვარშავის უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვთ მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც სტუდენტებს საშუალება აქვთ საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ისწავლონ ამ უნივერსიტეტის დაფინანსებით. ასევე, მე-3 წელია ჩამოჰყავთ მათი წარმომადგენლები გორის უნივერსიტეტში და ამ მხრივ აქტივობები მიმდინარეობს. გარდა ამისა, ისინი დამეგობრდნენ ბრაზილიის უნივერსიტეტთან და ხდება ინტერნაციონალიზაციის გაფართოება. რაც შეეხება მეთოდებს, ისინი აკადემიურ თავისუფლებას ვერ შეეხებიან, შესაბამისად, ლექტორის არჩევანია, რომელ მეთოდს გამოიყენებს, თუმცა ამ რეკომენდაციას აუცილებლად გადახედავენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაამატა, რომ ვინაიდან ლიტერატურის მოძიება რთულია, მათ გასცეს რჩევა, რომ თითოეულმა ლექტორმა მოამზადოს საკითხავი „ჰენდაუთები".

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ იმ ფარგლებშიც კი სადაც უფრო ახალი და სანდო ლიტერატურა არსებობს სილაბუსებში, არ არის მითითებული ახალი ლიტერატურა. მაგალითად, საგანში „წერითი და ზეპირი კომუნიკაცია" ძირითად ლიტერატურაში არ უნდა იყოს მითითებული მდივან რეფერენტის სამაგიდო წიგნი.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 17:57

დასრულების დრო 18:08

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს მულტიმედია ტექნოლოგიის პრაქტიკული კურსი, ხოლო სასწავლო კურსი „სოციოლოგიის საფუძვლები" განისაზღვროს სავალდებულოდ;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ საკვანძო სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
დ) პრაქტიკის სასწავლო კურსში აისახოს ონლაინმედიაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასევე, წინაპირობად დაემატოს "ინტერნეტჟურნალისტიკა";
ე) გადაიხედოს სწავლება-სწავლის მეთოდების მიზნობრიობა სასწავლო კურსებში: ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგიის საფუძვლები, დემოკრატია და მოქალაქეობა, კულტუროლოგია, საქართველოს ისტორია, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სოციოლოგიის საფუძვლები, ეკონომიკის საფუძვლები, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია I , II, საზღვარგარეთის მედია;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისათვის შეიქმნას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი მედიაცენტრი;
ზ) ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში განახლდეს ლიტერატურა;
თ) ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება და მისი შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **პირობითი აკრედიტაციის შესახებ**
- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე

5. მეხუთე საკითხი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრჩანაამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[25]	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[26]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 26 ნოემბერი, №224
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[27]	ტურიზმი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[28]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[29]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[30]	საქართველო, ქ. გორი, 1400, ჩერქეზიშვილის N1, სასწავლო კორპუსი N3.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 10 იანვარს. სამუშაო შეხვედრა

---

[25] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[26] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[27] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[28] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[29] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[30] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით. პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გაუციათ რეკომენდაციები გასცეს რამდენიმე რჩევა: 1. სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა უფრო მეტად ინფორმირებულობა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ; 2. სასურველია სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის დონის ზრდა და მოტივაციის ამაღლება/წახალისება; 3. სასურველია უსდ-ს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის (დარგის სახელმძღვანელოები) ყოველწლიურად განახლება; 4. სასურველია დამსაქმებელთა და სტაჟირების განმახორციელებელ ობიექტებთან ინტენსიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა, სტუდენტებისათვის პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკა-სტაჟირების კომპონენტის უზრუნველსაყოფად; 5. სასურველია, თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარების და შეფასების პროცესში მხარეების სრულფასოვან ჩართულობას.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს გაწეული მუშაობისა დათანამშრომლიბისათვის და განაცხადეს, რომ საგანმანათლენლო პროგრამას მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებლებთან და ითვალისწინებენ ბაზრის მოთხოვნებს. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითი მოიყვანა: დამსაქმებელმა გახსნა მაღაზია და მათი 2 სტუდენტი დაასაქმა, ასევე გაკეთდა მარანი, სადაც 3 სტუდენტი დასაქმდა ტურიზმის მიმართულებით. უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან და ითვალისწინებს დამსაქმებლების მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის განახლება-განვითარებისთვის. რაც შეეხება ბაზებს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებულია სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი, რომლის შესახებაც ინფორმაციას მუდმივად აწვდიან სტუდენტებს, ითვალისწინებენ ბაზებში არსებულ სიახლეებს, რეგიონში კონფერენციის ყველა თემა პატარა კვლევას მოიცავს. სტუდენტებმა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრთთან ერთად ჩაატარეს კვლევა ახალი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ანუ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი განვითარების პროცესში სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ პირველად საქართველოში გორის უნივერსიტეტში ტარდება ტურიზმის საერთაშორისო ტური, სადაც ჩართულია ბევრი უნივერსიტეტი. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ ახალი მემორანდუმი იტალიის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან, ასევე შექმნეს ერთობლივი მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა, რომელიც ონლაინ რეჟიმში ხორციელდება ქართულ-ინგლისურ ენაზე. მისი თქმით, ძველ საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერებულია არჩევითობა, ჩასმულია დარგის საგნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლავთ ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, რომელშიც მოცულობითია სასწავლო გეგმა და სტუდენტს შეუძლია კარგად შეისწავლოს ტურიზმი. ასევე, პროგრამაზე დაწესებულებამ მოიწვია პრაქტიკოსები, შესაბამისად, პროგრამა გაძლიერებულია უნარების მხრივაც.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნეს ადმინისტრირება" ძალიან კარგად არის წარმოდგენილი, თუმცა მას დააკლდა ტურიზმის მიმართულების გარკვეული საგნები და დაინტერესდა რას ფიქრობდნენ ამის შესახებ ექსპერტები? ექსპერტის თქმით, რადგან საკითხი, რომ პროგრამაზე იყო სავალდებულო და არჩევითი საგნების ნაკლებობა, არ აისახა ექსპერტთა დასკვნაში, ესე იგი, მათ არ მიიჩნიეს საჭიროდ მათი დამატება.

საბჭოს წევრის ნიკოლოზ კიკნაძის თქმით, სილაბუსებში ლიტერატურა განსაახლებელია, წინაპირობები სწორად არის განსასაზღვრი. მაგალითად, „ორგანიზაციული ქცევის" წინაპირობა არის „შესავალი კურსი ფსიქოლოგიაში", „ტურიზმის სტატისტიკის" კურსის სახელწოდება შესაცვლელია, რადგან უნდა იყოს „სტატისტიკა ტურიზმში", ასევე, დასამატებელია ისეთი საგნები, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას გახდის თანამედროვეს.

საბჭოს თავმჯდომარე

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ეს საგანი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში შეხვედრიათ შემდეგი სახელწოდებებით: „სტატისტიკა ტურიზმში", „ტურიზმის სტატისტიკა", „საფუძვლები ტურიზმში" და „ტურიზმის პრინციპები".

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ მისი რეკომენდაცია შინაარსიდან გამომდინარეობს, სტატისტიკა არის მშრალი მასალის წარმოდგენა ტურიზმში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც იძლევა ინფორმაციას ზრდა-შემცირების თაობაზე. მან ასევე, აღნიშნა, რომ პრობლემურია „რეკლამა და პრომოციის" სასწავლო კურსი, „სასტუმროს მენეჯმენტი", შესაბამისად, ბაკალავრს, რომ ზოგადი წარმოდგენა შეექმნას, უმჯობესია შესთავაზონ „ჰორეკა მენეჯმენტი", სადაც განხილული იქნება სასტუმრო, რესტორანი და კაფე. საბჭოს წევრის აზრით, მნიშვნელოვანია თანამედროვე მედია კურსის შექმნა, რომელიც განიხილავს თანამედროვე მედიას ტურიზმში არსებული გაყიდვების მიმართულებით, ასევე, დაამატონ სოციალური მედია მარკეტინგის საგანი „ლოჯისტიკა ტურიზმში", სადაც მიმოხილული იქნება ტრანსპორტის გადაზიდვები ტურიზმში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის თქმით, დარგობრივი მიმართულებით დააკლდა საგნები, თუმცა ჩამონათვალი მონათესავე დარგებია, ხოლო ამ ბაზის დამატება შესაძლებელია თავისუფლ კრედიტებში. რაც შეეხება „ჰორეკა მენეჯმენტის" ჩაშლას, სასტუმრო მენეჯმენტი არის ზოგადი კურსი, სადაც ჰორეკას ელემენტები განსაზღვრულია, მისი ცალკე გამოტანა კომპონეტს დატვირთავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამაში აქვთ როგორც „სასტუმრო მენეჯმენტი" ასევე „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი". „სასტუმრო მენეჯმენტთან" დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მათ აქვთ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც შეიმუშავეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, შეიქმნა ტურიზმის რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით ტურიზმის, მასპინძლობისა და სასტუმრო მენეჯმენტის მიმართულებით. ასევე აქვთ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ჟიროვას უნივერსიტეტთან. შესაბამისად, ისინი შეეცადნენ, რომ პროგრამა შესაბამისობაში მოსულიყო ევროპული სტანდარტების მოთხოვნებთან. ასევე, შეიცვალა მეთოდები, გამოიცა ამ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორების სახელმძღვანელოებიც, სასწავლო კურსების წყობა კი საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მარტივიდან რთულისაკენ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწიებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, შესაბამისად, ის დაინტერედა იყო თუ არა ასახული გორის სასწავლო უნივერსიტეტის „ქეისები" და რომელ სასწავლო კურსებში?

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ისინი იყენებენ თავიანთ „ქეისებს" რესურსცენტრში, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში, საერთაშორისო ტურიზმში, სადაც მაგალითებს განიხილავენ ტურისტული მარშუტების დაგეგმვა- ორგანიზების შესახებ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად იყო გათვალისწინებული საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამაში?

ექსპერტმა განმარტა, რომ ინტერვიუს დროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საუბრობდა პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ.

ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ რეგიონის და რეგიონულ პირობებში არის საკმაოდ კარგი შესაძლებლობები, რომ საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულად განხორციელდეს.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი თვითონ არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, შესაბამისად, ის დაინტერესდა იყო თუ არა აგროტურიზმის შესწავლის მოთხოვნა რეგიონში ან თუ აქვთ მოცემული სასწავლო კურსის სახით?

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ დაწყებული აქვთ პროგრამის შემუშავება და გეგმავენ მის განხორციელებას.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 19:28
დასრულების დრო 19:42

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 8 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

✓ **აკრედიტაციის შესახებ**
პირობითი აკრედიტაციის შესახებ
აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 8 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარე

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[31]	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[32]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 10 დეკემბერი, №254
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[33]	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[34]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[35]	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[36]	საქართველო, ქ. გორი, 1400, ჩერქეზიშვილის ქუჩა, N4, სასწავლო კორპუსის N3,.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

---

[31] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[32] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[33] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[34] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[35] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[36] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა ბურდულმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2014 წლის აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა გარკვეული რეკომენდაციები. განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად და მკაფიოდ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციები, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერებულია ინგლისური ენის კომპონენტი, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებში ინგლისური ენა წარმოდგენილია 20 კრედიტიანი მოცულობით, არჩევით საგნებს დაემატა დარგობრივი ინგლისური. ექსპერტის თქმით ისინი გაეცნენ დოკუმენტაციას და შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები. მათი ძირითადი ნაწილი შეეხება სტრუქტურასა და შინაარსს, ცალკეული სასწავლო კურსების წინაპირობებს, სწავლა-სწავლების მეთოდებს, ლიტერატურას და მატერიალურ და ადამიანურ რესურსს. ექსპერტთა რეკომენდაცია იყო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, მათ შორის თითოეული სასწავლო კურსის თანმიმდევრულობა და ლოგიკური წყობა, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება. რეკომენდებულია დაემატოს წინაპირობები ზოგიერთ სავალდებულო და არჩევით საგნებს, მათ შორის „განვითარების ფსიქოლოგიას", „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს", „კონფლიქტის ანალიზსა და მართვას", „ნეიროფსიქოლოგიას", განესაზღვროს რელევანტური წინაპირობები საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და ასარჩევ საგნებს „პათოფსიქოლოგიას" და „ქცევით გამოყენებით ანალიზსს". ექსპერტის თქმით, მიზანშეწონილია, კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკაში სწავლება, სწავლის მეთოდების გადახედვა და სასწავლო კურსის შინაარსთან მიმართებაში დაკონკრეტება-დაზუსტება, რათა სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგები იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ასევე, რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსი, მათ შორის „ნეიროფსიქოლოგია", „განვითარების ფსიქოლოგია", „კოგნიტური ფსიქოლოგია", „იურიდიული ფსიქოლოგია" და სხვა განახლდეს და დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და შესაბამისად დარგობრივი ლიტერატურით მეტად გამდიდრდეს ბიბლიოთეკა. რაც შეეხება, ადამიანურ რესურს, რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. მისივე თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტები იყო სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტები მეტწილად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს მისი მოსაზრებით მოცემული რეკომენდაციების სიმძიმე რამდენად შეესაბამებოდა მეტწილ შესაბამისობას, მაგალითად პირველი რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება, ასევე, რეკომენდებულია, დაემატოს წინაპირობები ზოგიერთ სავალდებულო და არჩევით საგნებს.

ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ დაწესებულების წარმომადგენლებისგან მიიღეს პასუხი, რომ არსებობს სასწავლო გეგმა, რომლითაც ახდენენ სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრულობის რეგულირებას. მიუხედავად ამ პასუხისა სასწავლო კურსებში აღნიშნული არ იყო ასახული. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი 07, რაც გაცილებით ფართო სფეროა და ფსიქოლოგიის გარდა სოციალური მეცნიერებები მოიცავს პოლიტიკას, სოციოლოგიის დარგებს და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები ცალკეულად ეხება ფსიქოლოგიას, სწორედ ამიტომ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იცვლებოდეს. მისი თქმით ძველი კლასიფიკატორის მიხედვით ეს საგანმანათლებლო პროგრამა ჯდებოდა სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფში, ახლანდელი კლასიფიკატორით ის უნდა იყოს ფსიქოლოგიის ჯგუფში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ექსპერტმა სწორად აღნიშნა, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა ძველი კლასიფიკატორის მიხედვით არის სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების, თუმცა, მათ ისარგებლეს შემთხვევით და ძველი კლასიფიკატორით შემოიტანეს საგანმანათლებლო პროგრამა, მაგრამ შემდგომში, მოხდება მისი ახალ კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა. ისე კი, სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი არ გამორიცხავს იმას, რომ შინაარსობრივად ფსიქოლოგიის ბაკალავრია. მართალია სოციალური მეცნიერებები ფართოა, მაგრამ ასეა ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებითაც, ფინანსების მართვის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი, რაც აპრობირებული და ნებადართული იყო ცენტრისა და გარე ექსპერტების მხრიდან. გამომდინარე აქედან, აღნიშნული რეკომენდაცია შუძლიათ მიიღონ, როგორც რჩევა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, თეა ნადირაძემ განმარტა, რომ როდესაც აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციო განაცხადი, აკრედიტაციის დებულებაში არსებობდა ჩანაწერი, რომ თუ რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავებული კვალიფიკაციის ფორმულირებას მოიცავდა, ის საგანმანათლებლო პროგრამა განიხილებოდა, როგორც ახალი და აკრედიტაცია ენიჭება 4 წლიანი ვადით. გამომდინარე აქედან, მოხდა ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციების ფორმულირებების ხელოვნურად დატოვება, დაწესებულების წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ძველი ფორმულირებები, იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო ახალი და განხილულიყო პროგრამისთვის 7 წლიანი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა სწორად შემოიტანა საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დღევანდელი სამართლებრივი მდგომარეობა არის განსხვავებული, აკრედიტაციის დებულებაში იანვრის თვეში შევიდა ცვლილებები, სადაც ცალსახად გაიწერა, რომ თუ კვალიფიკაციის ფორმულირება იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების გამო და ის არის წარმოდგენილი რეაკრედიტაციაზე მისი აკრედიტაციის ვადა იქნება 7 წლიანი. მან ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ეთანხმებოდნენ ისინი ექსპერტთა მოსაზრებას, რომ კურიკულუმის შინაარსი და კონტექსტი ფსიქოლოგიასთან უფრო მეტადაა დაკავშირებული და რას ფიქრობდნენ ისინი ამასთან მიმართებაში, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, დაეზუსტებინათ კვალიფიკაცია?

საბჭოს თავმჯდომარე

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო საუბარი რეკომენდაციების შესახებ. მისი თქმით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია წინაპირობებთან და პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით კვლევის მეთოდების დახვეწის შესახებ, რაზეც მან თქვა, რომ მათ ექსპერტებს განუმარტეს, რომ ისინი დამსაქმებლებთან გადიან ამ საკითხს, შესაბამისად, ისინი ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციებს.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 20:27
დასრულების დრო 20:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსის) თანმიმდევრულობა და ლოგიკური წყობა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით;
ბ) დაკონკრეტდეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი), რომელიც პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მასში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისი იქნება;
გ) დაემატოს წინაპირობები, საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: განვითარების ფსიქოლოგიას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს, კონფლიქტის ანალიზს და მართვას, ნეიროფსიქოლოგიას;
დ) რელევანტური წინაპირობები განესაზღვროს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და ასარჩევ საგნებს: პათოფსიქოლოგიას, ქცევის გამოყენებით ანალიზს;
ე) სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით კი, კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკაში, სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა და კურსის შინაარსთან მიმართებაში დაკონკრეტება და დაზუსტება, რათა კურსით გათვალისწინებული შედეგები იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;
ვ) რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსი (ნეიროფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლების საფუძვლები) განახლდეს და/ან დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და შესაბამისად, დარგობრივი ლიტერატურით მეტად გამდიდრდეს ბიბლიოთეკა;
ზ) რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა სასწავლო კურსების ხარისხისა და პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

საბჭოს თავმჯდომარე

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **პირობითი აკრედიტაციის შესახებ**
- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

გიორგი თურქიამ და პაატა ბრეკაშვილმა დატოვეს სხბჭოს სხდომა

7. **მეშვიდე საკითხი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[38]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 26 ნოემბერი, №226
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[41]	-

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი[42]	საქართველო, ქ.გორი, 1400, ჩერქეზიშვილის ქუჩა, N4, სასწავლო კორპუსის N3.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მას სჭირდება გარკვეული განმარტებების გაკეთება. პირველი, როდესაც რეკომენდებულია არა უმეტეს სწავლის 10 შედეგი და დაწესებულების წარმომადგენლის პასუხია, რომ ეს არსად არ წერია, ამაზე ექსპერტი განმარტავს, რომ არ არის აუცილებელი ყველაფერი იყოს სადმე გაწერილი, არსებობს საუკეთესო პრაქტიკა, ცენტრის ტრენინგები, სადაც 4-5 ტრენინგი მიეძღვნა იმას, თუ როგორ უნდა დაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და რა მნიშვნელობა აქვს რაოდენობას, მასზე არის მიბმული სწავლის შედეგების შეფასებაც. ექსპერტის თქმით, საუკეთესო პრაქტიკაა, როცა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები არის არა უმეტეს 8-10-ისა, სხვა შემთხვევაში ის არ არის კარგი საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე, განსაზღვრულია თუ როგორ უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა აგებული ბიზნესის მიმართულებით სამივე საფეხურზე. შემდეგი რეკომენდაცია იყო დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა თვითშეფასების დოკუმენტში, რომელიც აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს. შესაბამისად, მისი თქმით, დაინტერესებული მხარეების სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დასაქმებულების ჩართვა ამ დოკუმენტის შექმნაში აუცილებელია,

[42] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

რის შესახებაც საუკეთესო პრაქტიკაც მეტყველებს. შემდეგი რეკომენდაციაა დაწესებულება მეტი პასუხისმგებლობით და სიფრთხილით მოეკიდოს „სვოტ“ (SWOT) ანალიზს, რომელიც გაკეთებულია ძალიან ზერელედ რადგან, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რა იყო გასაძლიერებელი მხარეები საგანმანათებლო პროგრამაში, პასუხი ვერ მიიღო. გასაძლიერებელი მხარეები უფრო კარგად უნდა იყოს წარმოდგენილი თვითშეფასებაში. ასევე, მიზანშეწონილია გაფართოვდეს არჩევითი სასწავლო კურსები, აღრიცხვა-ანგარიშგების აუდიტის მიმართულების სასწავლო კურსების ხარჯზე, რასაც დაეთანხმა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მითუმეტეს, რომ მათ ჰყავთ ამ მიმართულების პერსონალი, შესაბამისად, კარგი იქნებოდა დაემატებინათ ერთი მოდული აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა შეიმუშაონ სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრიკებით იქნება ასახული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რაც დასტურდება იმით, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, თუმცა ის ამ დოკუმენტის მიხედვით არ იყო გაწერილი. სწავლის შედეგების რუბრიკების შეფასება ნიშნავს იმას, რომ თითოეული სწავლის შედეგი ჩაიშალოს ინდიკტორებში და შემდეგ უნდა მოხდეს სწავლის შედეგების შეფასება, რასაც უნდა დაერთოს რუკა იმისა, თუ როგორ აღწევს შედეგს საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის განხილვისას დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ აქვთ ეს დოკუმენტი, რასაც ისიც ეთანხმება, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოხდეს ამ დოკუმენტის მიხედვით. შემდეგი რეკომენდაციაა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა შეიმუშაონ კრედიტების განაწილების ტრანსფარენტული მექანიზმი, რაშიც გულისხმობს იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია, პრაქტიკის სასწავლო კურსი 12 კრედიტიანი და ორი 6 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსი. ექსპერტის თქმით, აუცილებელია განხორციელდეს „სტრატეგიული მენეჯმენტის“ და „მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის“ სასწავლო სილაბუსების გადამუშავება და მათი შესაბამისობაში მოყვანა უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურთან, რადგან ისინი პრაქტიკულად იმეორებენ ბაკალავრიატის დონეს. ასევე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტებთან აქტიურად გამართონ შეხვედრები და მოახდინონ მათი ინფორმირება უფლებების შესახებ, რადგან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათ არ იცოდნენ გასაჩივრების პროცედურის შესახებ. მისი თქმით, დაწესებულებამ უნდა დახვეწოს ონლაინ პლატფორმა, რათა სტუდენტებმა ონლაინ შეძლონ სასურველი სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც გაამარტივებს რეგისტრაციის პროცესს. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობდა სტუდენტების მოსაზრებიდან, რომელთა თქმითაც მათ უძნელდებათ რეგისტრაცია. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მაგისტრები კვალიფიციური დარგის სპეციალისტი მეცნიერ-ხელმძღვანელებით. მისი თქმით, კვლევითი თემების შერჩევისას და კვლევის განხორციელებისას განუხრელად უნდა იყოს დაცული როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ასევე, მაგისტრატურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, კვლევითი თემები უნდა შესრულდეს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით ან უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია დარგთაშორისი კვლევის განხორციელებაც შესაბამისი ხელმძღვანელის ჩართულობით. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს მეთოდი და მეთოდოლოგია, რასაც ეყრდნობა კვლევა და წყაროების მიმოხილვა. სამაგისტრო ნაშრომები უნდა შესრულდეს იმის მიხედვით თუ რა დევს სილაბუსში. მისი თქმით, ნაშრომების შესწავლისას დადგინდა, რომ ძირითადი ნაშრომები შესრულებული იყო ეკონომიკის მიმართულებით და არა ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე არ მიჰყვებიან სილაბუსის მოთხოვნებს თუ როგორ უნდა იყოს გაფორმებული ნაშრომი. შემდეგი რეკომენდაციაა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს

ბიბლიოთეკის მომარაგება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით, რადგან ექსპერტების თქმით, ბეჭდური ლიტერატურა ბიბლიოთეკაში ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სადაც ძირითადად, იგულისხმება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურები. ასევე, ხარისხის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენად არის ის შესაბამისი დარგთან, ნორმატიულ დოკუმენტებთან, სილაბუსთან, მაგისტრატურის დებულებასთან. ასევე შემოწმდეს გამოყენებული წყაროების ვალიდურობა. მისი თქმით შიდა პროცედურების გარდა აუცილებელია „ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ამაღლებისათვის გარე შემფასებლების მოსაზრებების მიღება, ვინაიდან უნივერსიტეტს ჰყავს კარგი პარტნიორები ევროპაში. ბოლო რეკომენდაციაა ხარისხის მართვის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას, თუ რამდენად არის ის შესაბამისი დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ბიზნეს ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაშიც გაიცა იგივე რეკომენდაციები გარდა 2 რეკომენდაციისა. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში ისინი ეყრდნობიან აკრედიტაციის სტანდარტებს და აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სისტემას, მხოლოდ ამის შემდეგ ეყრდნობიან სხვადასხვა რჩევებს, ხოლო როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა მოვა ახალ კლასიფიკატორტთან შესაბამისობაში, მაშინ გაითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას. მისი თქმით, მათ ჩამოყალიბებული აქვთ 10-ზე ცოტა მეტი სწავლის შედეგი და მითითებული აქვთ სარეკომენდაციო აკრედიტაციის სახელმძღვანელო. რაც შეეხება დაინტერესებული მხარეებს მონაწილეობას თვითშეფასების ანგარიშში მისი თქმით, 5.1 ქვესტანდარტის შეფასების კრიტერიუმში პირდაპირ წერია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია, როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, 20-ვე საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი იყო ანალოგიურად შედგენილი, მათი ჩართულობა ასახულია თვითშეფასების ოქმებში, რომელიც წარმოდგენილი იყო დანართებში. შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან ჩატარდა რამდენჯერმე. დაწესებულების წარმომაგენლის თქმით, ექსპერტი თვითონ წერს დასკვნაში 5.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში, რომ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის განვითარების შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით, ბაზრისა და კანონმდებლობების მოთხოვნებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიკაციას, მისი თქმით, არა დაწესებულება, არამედ საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და ამ პროცესში თვითშეფასების ჯგუფი ჩართული იყო. მისივე თქმით, პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროა, შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც დაეყრდნობა იმავე პრინციპებს და გაამარტივებს შეფასების პროცედურას. რაც შეეხება არჩევითი სასწავლო კურსების დამატებას, მისი თქმით ეს შესაძლებელია და გააძლიერებენ საგანმანათლებლო პროგრამას აღრიცხვა-აუდიტის არჩევითი სასწავლო კურსებით. შემდეგ რეკომენდაციასთან, სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არ ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომ მათ წარმოდგენილი აქვთ „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (დანართი1), სადაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და სასწავლო კურსების კალკულუსი, რომელი სასწავლო

კურსით რომელ სწავლის შედეგზე გადიან. კერძოდ, სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განსაზღვრული საკვანძო სასწავლო კურსები არის გამოყოფილი შეფასების წლის, სამიზნე ნიშნულების შესაბამისი კომპეტენციისა და შეფასების მეთოდების მითითებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხება კრედიტების განაწილების მექანიზმს, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრულია თითოეული კომპონენტის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებას, რომლის სისწორეც მოწმდება რეალური დატვირთვის შეფასების ინფორმაციის მოპოვებითა და ანგარიშით. მასში მონაწილეობენ სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და კურსდამთავრებულები, კრედიტები კი გაანგარიშებულია იმის მიხედვით, თუ რა დატვირთვა აქვს სწავლის შედეგებს და რა სწავლის შედეგებზე გადის ის. ასევე მათ აქვთ არჩევითი კურსების 2 ბლოკი: ფინანსებისა და მენეჯმენტის მიმართულებით, რომლებიც მოცულობით უფრო მეტია. შემდეგ რეკომენდაციასთან, სასწავლო კურსების გადამუშავებასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ისინი გეგმავენ ამ სასწავლო კურსების გადამუშავებას, თუმცა არ ეთანხმება, რომ ისინი საბაკალავრო დონისაა, მისი თქმით მმართველობითი აღრიცხვის სილაბუსში ერთი სახელმძღვანელო არის შუაზე გაყოფილი, მისი ავტორის იზოლდა ჭელიძის რეკომენდაცია იყო მისი გაყოფა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, სადაც გაძლიერებულია სხვა სახელმძღვანელოებიც. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ისინი აღნიშნულ სილაბუსებს კიდევ გადახედავენ. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სტუდენტებთან გასამართ აქტიურ შეხვედრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ იმაზე მეტის განხორციელება აღარ შეიძლება რაც ისედაც ხორციელდება მათ მიერ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება გასაჩივრების წესს, ის გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, ექსპერტი დასკვნაში წერს, რომ სილაბუსის განხილვა ხდება სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. სტუდენტი საჭიროების არსებობის შემთხვევაში ლექტორებისგან მარტივად იღებს უკუკავშირს და არგუმენტირებულ პასუხს შეფასებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სტუდენტს როდესაც გააჩნდა მიღებულ ქულასთან დაკავშირებით პრეტენზია მან მიიღო ლექტორისგან არგუმენტირებული პასუხი. დასკვნაშივე წერია, რომ სტუდენტებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ კონკრეტული შეფასება თუკი მიიჩნევენ, რომ მათი ნაშრომი არასათანადოდ შეფასდა, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებმა არ იცოდნენ პროცედურულად, როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროცედურა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელია ისეთი სტუდენტები მოხვდნენ გასაუბრებაზე, რომლებსაც არ დასჭირვებიათ ეს პროცედურები და არ ფლობდნენ ინფორმაციას მისი განხორციელების შესახებ, თუმცა ზოგად ინფორმაციას ყველა ფლობს. ექსპერტი დასკვნაში აღნიშნავს, რომ საგამოცდო პროცესს აკონტროლებს საგამოცდო კომისია და დამკვირვებლები, რაც ხარისხზე დადებითად აისახება. რაც შეეხება ონლაინ პლატფორმის დანერგვას, რომ სტუდენტებმა შეძლონ სასურველი სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ამ რეკომენდაციას არ ეთანხმებიან, რადგან მათ აქვთ სასწავლო პროცესის მართვის პროგრამა, რომელსაც უნივერსიტეტი წარმატებით იყენებს 2010 წლიდან და რომელსაც აქვს უამრავი ფუნქცია, მათ შორის რეგისტრაციის ფუნქცია, რომლითაც ექსპერტთა სხვა ჯგუფები აღფრთოვანებულნი იყვნენ. სტუდენტები ხშირ შემთხვევაში თვითონ სარგებლობენ ადმინისტრაციული პერსონალის დახმარებით რეგისტრაციის პროცესში. აღნიშნული სასწავლო გზით ხდება სტუდენტების შეფასება, ისინი გამოკითხვებში იღებენ მონაწილეობას, ეცნობიან ცხრილს, შეფასების მონაცემებს და ა. შ. მომდევნო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დარგის სპეციალისტი მეცნიერ-ხელმძღვანელებით უზრუნველყოფას, დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა დასკვნიდან ამოიკითხა ჩანაწერი, სადაც ეწერა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიური, სათანადო კვალიფიკაციის მქონე

პერსონალის მიერ, რომელსაც სამეცნიერო პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება უდასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია საგანმანათლებლო პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით, აკადემიური ხარისხით, სამეცნიერო ნაშრომებით და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში ბოლო 5 წლის მანძილზე. ასევე, 4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნაში წერია, რომ უნივერსიტეტი ყოველდღიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის, ისე საქმიანობის შეფასებას, ხოლო შედეგებს იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისებისათვის. დაწესებულების მხრიდან, გამოყენებულია შეფასების ისეთი ინსტრუმენტი, როგორებიცაა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ რეკომენდაციაში არ იყო საუბარი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაზე, ექსპერტი საუბრობდა ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიციურობაზე. შესაბამისად, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ამ კუთხით ესაუბრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი არიან სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელები, მათ ცალკე მოწვეული ხელმძღვანელები არ ჰყავთ. რაც შეეხება კვლევითი თემების არჩევასა და ნაშრომის გაფორმებას მისი თქმით კვლევითი თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და დაცვის წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება მაღალი ქულით. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ნაშრომები დაბალი შეფასებებით, თემების უმეტესობა შესრულებულია ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებით და მისი თქმით ძნელია ზღვრის გავლება ეკონომიკასა და ბიზნეს-ადმინისტრირებას შორის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან გადახედა სადისერტაციო ნაშრომებს, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის მასშტაბით და ძალიან ბევრი სამაგისტრო ნაშრომის დასახელების ჩამონათვალი მოიცავს ეკონომიკის ელემენტებს ან პირდაპირ ეკონომიკურია. მაგალითად, ედინბურგის უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე რამდენიმე თემის დასახელება ასე ჟღერს: „არისტოტელეს ეკონომიკური სიმდიდრის შესახებ", სადაც განხილული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები. მან ასევე, დასძინა, რომ მას შემდეგ რაც მათ სააკრედიტაციოდ წარადგინეს საგანმანათლებლო პროგრამა, შემდეგი დაცვები იყო წმინდა ბიზნესის მიმართულების ნაშრომები. მისი თქმით ექსპერტი ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ბიზნესის, ისე ეკონომიკის მიმართულებით. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ბიბლიოთეკაში ლიტერატურის ბეჭდური სახით უზრუნველყოფას გულისხმობს, მან თქვა, რომ ექსპერტთა დასკვნაშივე წერია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ბიბლიოთეკის შერჩევითი ლიტერატურის შემოწმებით დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდში ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, თუმცა ერთ შემთხვევაში არ იყო დამატებითი ლიტერატურა ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში იყო მხოლოდ ელექტრონული ვერსია მითითებული, ასევე, წერია, რომ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერნეტრესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები. მან განმარტა, რომ ერთადერთი წიგნი დამატებითი ლიტერატურიდან, რომელიც არ იყო მითითებული გახლდათ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან. ხარისხის განვითარების სამსახურთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ კი თქვა, რომ ხარისხის სამსახური სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, ამ შეფასების ანალიზის

საფუძველზე კი მოხდა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების წარდგენა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. მათ მიერ გადმოიგზავნა სააკრედიტაციო პერიოდის, რომელიც არის 2012-2019 წლების ჩათვლით შეფასებები (დანართი 17), სადაც მითითებულია განხორციელებული რეკომენდაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ექსპერტი დასკვნაში წერს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი ახდენს დაკვირვებას საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ეფექტიანად მიღწევის შესახებ და შემდეგ ხდება შეფასება. ასევე ხარისხის სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის მონიტორინგს, შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შედეგების შეფასებით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება რეკომენდაციას გარე შემფასებლის არარსებობასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ სინამდვილეში გარე შეფასება გაკეთებულია, რაც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ ექსპერტს ჰკითხა 3.2 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხომ არ გაუჭირდებოდათ სტუდენტებს სილაბუსში მითითებული ინგლისური ლიტერატურის დაძლევა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ინგლისურთან დაკავშირებით აქვთ სერიოზული პრობლემა სტუდენტებს, სწორედ ამიტომ მათ უჭირთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. უნივერსიტეტი ყველანაირად ცდილობს დაეხმაროს სტუდენტებს, მაგრამ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ნაკლებობა არის პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის ბრალი ინგლისურ ენასთან მიმართებით.

საბჭოს წევრი ამავე ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ გადამოწმდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია რამდენად ჰქონდათ მათ შესრულებული ნაშრომები იმ მიმართულებით რა მიმართულებითაც ხელმძღვანელობნენ სტუდენტებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ნაშრომების უმეტესობა შესრულებულია ეკონომიკის მიმართულებით, რაც არის მეცნიერ-ხელმძღვანელების პრობლემა, როცა სტუდენტი საკვალიფიკაციო ნაშრომს ასრულებს არა ბიზნესის მიმართულებით არამედ ეკონომიკის მიმართულებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაში მას ეჭვი არ ეპარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ სიტუაციის გაზვიადება ხდება ხელოვნურად. ის ვერ მიხვდა რომელი პერსონალის კვალიფიკაციაში შეეპარა ეჭვი ექსპერტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით ჰკითხა ექსპერტს, თუ რომელი პერსონალი გადაამოწმეს ინგლისური ენის კვალიფიკაციის კუთხით?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენისა და გაცვლითი პროგრამების დაბალი მაჩვენებელი შეინიშნებოდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსახვედრად აპლიკანტები აბარებენ ინგლისური ენის გამოცდას B2 დონეზე.

ექსპერტმა დაწესებულების წარმომადგენელს უპასუხა, რომ როდესაც გაცვლით პროგრამებზე დაისვა კითხვა სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, მათგან მიიღეს პასუხი, რომ უჭირთ მონაწილეობის მიღება, რომლის ერთ-ერთ ბარიერად დაასახელეს ინგლისური ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს შეუძლიათ გადაამოწმონ პერსონალის ინგლისური ენის დონე, მათი უმეტესობა სისტემატიურად მონაწილეობს ევროპის საერთაშორისო კონფერენციებში და გამოდიან მოხსენებებით. მისი თქმით, ამ მხრივ მათ აქვთ მაღალი სტანდარტი, მითუმეტეს, რომ ადმინისტრაციამ არაერთი აქტივობა განახორციელა ინგლისური ენის გაძლიერების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა" წარმოშობილია ეკონომიკის მეცნიერების სფეროში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და ჩამოყალიბდა ცალკე მეცნიერებად. ექსპერტის მოკრძალებული რჩევა იყო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის მიმართულებით სამეცნიერო პოტენციალი გაზრდილიყო. რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციას, ეს საკითხი გამოიკვეთა გასაუბრებებიდან.

საბჭოს თავმჯდომარე

დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მიდოდაშვილმა თქვა, რომ ძირითადი პრინციპით რეკომენდაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა აკრედიტაციის რომელიმე სტანდარტისა და ქვესტანდარტის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში გამოიყენება რჩევა. მისი თქმით, მათთვის მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკა, ექსპერტის მოსაზრებები, თუმცა მათ უნდა დაინახონ სად დაირღვა სტანდარტის მოთხოვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ კაუტელარული პრაქტიკა, „ბესთ პრაქტისი" (best practice) შეიძლება იყოს რეკომენდაციის გაცემის ერთ-ერთი წყარო.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 21:15
დასრულების დრო 21:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, წელიწადნახევარში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გასცა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია;
ბ) ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, აუცილებელია, თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყოს სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი;
გ) მიზანშეწონილია, გაფართოვდეს არჩევითი სასწავლო კურსები აღრიცხვა-ანგარიშგება-აუდიტის მიმართულების სასწავლო კურსების ხარჯზე;
დ) გადამუშავდეს „სტრატეგიული მენეჯმენტისა" და „მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის" სილაბუსები და გათვალისწინებულ იქნას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მიზნები;
ე) პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მაგისტრები კვალიფიციური და დარგის სპეციალისტი ხელმძღვანელებით;
ვ) უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის, ელექტრონულ რესურსებთან ერთად, ბეჭდვითი სახით ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა;
ზ) გაუმჯობესდეს სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასების მიდგომები, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და არის თუ არა დაწესებულების მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულება შეფასებული. ასევე, ყურადღება გამახვილდეს გამოყენებული წყაროების ვალიდურობაზე;
თ) განხორციელდეს ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით გარე შეფასების მექანიზმები.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9

საბჭოს თავმჯდომარე

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

- ✓ **აკრედიტაციის შესახებ**
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციასა და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, წელიწადნახევარში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 21:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე